1936/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პიონერი

1936 №1

# საჩუქრები ყრილობას

ეროვნული ბიბლიოთეკა



არაჩვეულებრივი ფუსფუსია სკოლებში... დიდი სამზადისი. პაწაწინა ხელები გაფაციცებით მუშაობენ. მკვირცხლი და მახვილი გონება დაუპიმავს ყოველ პატარა შემომქმედს, რომ რაც შეიძლება ლამაზი, ორიგინალური საჩუქარი უძღვნას საკ. კომკავშირის მეათე ყრილობას.

აი ფაქიზად შესრულებული თვითმფრინავის მოდელი, ის პიონერმა ლეო ტყემალაძემ დამზადა. ლეო გაწაფულია მოდელების დამზადებაში, მაგრამ როცა ამ თვითმფრინავის მოდელს უცქერი, როცა ამ მოდელის ნაზი, თხელქაღალდგადაკრული ფრთები შორს ჰაერში გაინავარდებენ თითქოს არ გჯერა, რომ ეს ოსტატური ნამუშევარი 13 წლის პიონერს ეკუთვნის.

ეს კოხტა ელექტრომავალი პიონერის—არჩილ ბერიტაშვილის დამზადებულია. იგი საოცარ უნარს იჩენს მოდელების დამზადებაში. არჩილი მომავალი ინჟინერია. მის ერთად-ერთ საოცნებო საგანს შეადგენს მხოლოდ ის, რომ ჩქარა გაიზარდოს, ეახდეს ინჟინერი და უფრო ძვირფასი, უფრო სასარგებლო საჩუქარი მიუძღვნას თავის საყვარელ ქვეყანას.

საჩუქართა წყებას ამშვენებს პატარა საბარგო ავტომობილი. ავტომობილი მწვანეთაა შეღებილი, მოძრაობს, აქვს ელექტრონათურებიც. ერთი სიტყვით ნამდვილი საბარგო ავტომობილის განსახიერებაა. ავტოს გვერდზე დაწებებული აქვს პატარა ოთხკუთხი ქაღალდი, რომელზედაც ლამაზი ასოებით სწერია: „კომკავშირის მეათე ყრილობას, მეხუთე კლასის მოწაფის პიონერ მიტო შალიგინისაგან“.

მელიტა აფხაიძე და ია მშვიდობაძე პატარა კომპოზიტორები არიან. მათაც უძღვნეს ყრილობას საჩუქარი. მელიტამ და იამ კოლექტიურად დასწერეს ლამაზი მუსიკა: „კომკავშირული მარში.“ მარში ოთხი ხელით იკვრის ფორტეფიანოზე. ეს ძლიერ ორიგინალური საჩუქარია.

საჩუქრები... საჩუქრები, და საჩუქრები ნაირნაირი, მრავალ-ფეროვანი აუოაცხელი...

ფუსფუსებენ მომავალი ინჟინრები, ლიტერატორები, მუსიკოსები, ბედნიერი ქვეყნის ბედნიერი ბავშვები... მათი ცოცხალი და მხიარული სახეები გაბრწყინებულია. მათი აზრიანი და მოუსვეხარი თვალები სიხარულით ელავენ, მათი ბავშვური, წკრიალა ხმაში მძლავრად გაისმის:

„მადლობა დიდ სტალინს საამური და ბედნიერი ცხოვრებისათვის“.

ელ. აგლაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

140/1936/2

1851

140/1936/2

მხატვ. ედ. ახვლედიანი

# ენძელას ფიქრები

არ ვიცი, თქვენ ყველამ წაიკითხეთ თუ არა ეს ლამაზი წითელყდიანი წიგნი, ან ეს მეორე, ან ეს მესამე, ყველა მათგანიდან საყვარელი ბელადი რომ გვიცინის. არ ვიცი, გიგრძვნიათ თუ არა ამ სტრიქონების სითბო, ნელ-ნელა რომ ატოკებს გულს, კითხულობ და კითხულობ ნაცნობ ადგილებს მოუბეზრებლივ, და მერე ოდნავ, სულ ოდნავ მოხუჭავ თვალებს, გახედავ სივრცეს შორს და შენ თვალწინ მოძრაობს უაღრესად საყვარელი ადამიანი.

აგერ, ის ჯერ სულ პატარაა, მშვენიერი ოქროსფერი კულულებით და ცოცხალი წაბლისფერი თვალებით, იგი თავის პატარა დასთან ერთად ძლივს დაბაჯბაჯებს. აი უცებ თავმა დასძლია და ძირს ბრაგვანი მოადინა. მორთო საშინელი ღრიალი. ყველა მისკენ გარბის საშველად. ქვემო სართულში მცხოვრები ნაცნობები ღიმილით ეუბნებიან მარიამ ალექსანდრეს ასულს:

— ყოველთვის გვესმის, როგორ გააქვს ბრაგვანი ვალოდიას თავს იატაკზე. ის ან ძალიან ჭკვიანი გამოვიჭვარ, ან ძალიან სულელი.

წამოიზარდა. იგი უკვე აღარ ეცემა იატაკზე ძველებურად, უყვარს აურზაურიანი თამაშობა და სირბილი. ყოველ კუთხეში გაისმის მისი წკრიალა ხმა, სიცილი, ტიკტიკი. მისი პატარა თვალები ხალისიანად ბრწყინავენ, ხოლო დიაფერის კულულები მხიარულად თამაშობენ დაქანებულ შუბლზე. იგი ყოველთვის თავისზე პატარა დის უფროსია: შეაგდებს მას საგარძელქვეშ და მერე უბრძანებს:

— ბიჯებით იარ საგარძლიდან!

აგერ აჩუქებს მას ლამაზი ეტლი, შიგ სამი ცხენია შებმული. ვალოდია თავისი სოფამაშოთი საღამოს გაქრა. ეძებენ მას, ეძებენ და ბანერეგას იგი ერთერთი ეარის ეკენ და ჩუმად, გულდასმით უგრეხს ცხენებს ფეხებს.

ზამთრის სუსხიანი დილაა, ყველგან თოვლია, ყველგან, ყველგან. ეზოში გაისმის ბავშვების მხიარული კისკისი. ყველაზე მეტს ვალოდია ხმაურობს. იგი მოსჯდომია ციგას და ერთი აურზაურით მოქრის გორაკიდან. იგი ყველაფერში ბაძავს თავის უფროს ძმას საშას.

საზოგადო საგლუსაოზე მაღალი გორიდან, საიდანაც ციგებითაც კი საშიშია დაცურება, გლუსუნებით მოსრიალებენ საშა და ვალოდია; ისინი წელში ოდნავ მოღუნულები ეშვებიან მთის მაღალი, ძალიან დაქანებული წვერიდან და შემდეგ, ძირს დაშვების დროს, თანდათან იმართებიან წელში. მათ შორით შესაკერიან სხვები. დაბალი, ჩასკვნილი და მაგარი აგებულების ვალოდია საშაზე უფრო გაბედულად, ლამაზად მოსრიალებს, მაგრამ მისთვის საშა უდიდესი ავტორიტეტია.

ადვილად და ხალისით სწავლობს ვალოდია, ყოველთვის პირველი ჯილდოთი გადადის კლასიდან კლასში. გაკვეთილზე კი არ მიდის, მიფრინავს.

შემოდგომის ცივი დილაა. დედას უნდა პალტო ჩაცვას თავის ბიჭიკოს, მაგრამ მიხედვასაც კი ვერ ასწრებს: ვალოდია უკვე გაქრა. სწრაფად მივარდა დედა ფანჯარას, გაიხედა, უნდა დაუძახოს, მაგრამ იგი უკვე შორს არის. შეუხვია. სასწავლებელში ვალოდია ყოველთვის ნახევარი საათით ადრე მიდის. გაკვეთილის დაწყებამდის ამეცადინებს რომელიმე ჩამორჩენილ მოწაფეს, ესაუბრება ამხანაგებს, ხშირად ასაჩუქრებს თავისი რვეულებით. ყველას უყვარს ცოცხალი, ნიჭიერი და დაუზარელი ვალოდია. მუდამ ცელქი და მოუსვენარი, გაკვეთილზე წყნარად ზის. ყურადღებით უსმენს კლასში გაკვეთილის ახსნას, თავისი საოცარი ნიჭის მეოხებით ახალ გაკვეთილს კლასშივე იხსომებს, შინ მხოლოდ თვალის გადავლება სჭირდება.

ვალოდია ყოველთვის, გაკვეთილების შემდეგ, შეუმჩნეველად, სწრაფად ჩაუვლის მამის კაბინეტს, გაიცლის გასასვლელ ოთახს და თავის ოთახისაკენ ზედა სართულში მიმავალი სხაპასხაპით დაიარის:

— ბერძნული—ხუთი, გერმანული—ხუთი!

ასე მეორდება ყოველდღე. იცვლება მხოლოდ საგნები: „ალგებრა — ხუთი, ლათინური. — ხუთი“.

ასე ბედნიერად მიდის ვალოდიას ბავშვობის დღეები, მაგრამ 1866 წელს იწყება მკაცრი განსაცდელი. გარდაიცვალა ილია ნიკოლოზის ძე, და 16 წლის ვალოდიას მხრებზე აწვება ოჯახის მზრუნველობა. გაიარა ერთი წელი, და ამ ქერა ტანმორჩილ ბიჭს ზიელს თავს ატყდება მეორე დიდი უბედურება.

აი მას გადასცეს ბარათი პეტერბურგიდან. ვალოდიამ ახლოს მიიტანა წერილი თვალებთან, ოდნავ გვერდზე გადახარა თავი და საჩქაროდ გადაიკითხა. გათავდა კითხვა. პირქუშად გამოიყურება, სასტიკად. ის უკვე აღარ არის უდარდელი, დამცინავი, სიცოცხლით სავსე ყრმა; ჩვეულებრისამებრ ზურგზე ხელებდაწყობილი, ის მოღუშული გასცქერის სივრცეს, გაცილებით უფრო შორს, ვიდრე ის სავნებია, რომელიც მის გარშემო აწყვია. ბარათით მას აცნობებენ საყვარელი ძმის საშას დაპატიმრებას.

— საქმე სერიოზულია, — ჩაილაპარაკა მან. შესაძლებელია ცუდად გათავდეს საშასთვის!

ვალოდია არ შეცდა: 1887 წლის 30 მაისს ალექსანდრე ულიანოვი ჩამოახრჩვეს.

ვალოდია თითქოს უცბად დავაჟკაცდა. იგი ეფერება დედას, ნაზად უყოცნის ხელებს.

— ეტყობა, საშას არ შეეძლო სხვაგვარად მოქცევა, — ანუგეშებს მწუხარებით გულმოკლულ მშობელს.

ძნელი ხდება გიმნაზიის გათავება, მაგრამ ულიანოვების გმირულ ოჯახში აღზრდილი ვალოდია არ იბნევა. დიდის მოთმინებით იტანს თავზე დამტყდარ უბედურებას და ბეჯითად განაგრძობს სწავლას.

გიმნაზიის ხელმძღვანელობა უხერხულობაში მისცეს თუ არა ოჯროს მედალი უნიჭიერეს მოწაფეს, მაგრამ თითქმის მეფის მკვლელის ძმას? დიდი ყოყმანის შემდეგ ვალოდია ღებულობს ამ ჯილდოს და შედის ყაზანის უნივერსიტეტში.

მღელვარება ხვდება ყველა საუნივერსიტეტო ქალაქს. არ აუვლია მას გვერდი ყაზანისთვისაც. სტუდენტების მღელვარე კრებას, რომელიც მიმდინარეობს უნივერსიტეტის კედლებში, თავს ესხმის პოლიცია. მეამბოხეთა პირველ რიგში ვლადიმერ ულიანოვია. დამუშტული ხელებით მიიწევს იგი ინსპექტორზე და მოითხოვს გორიდოვების გაყვანას. ღამით მას აპატიმრებენ საკუთარ ბინაზე.

— რათ ჯანყობთ... თქვენს წინ ხომ კედელია, — ეუბნება მას გულგრილად პოლიციელი ჩინოვნიკი, რომელიც მიპყვება ეტლში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კედელია, მაგრამ დამპალი — უბიძგებ და დაინგრევა, — თამამად უპასუხებს მას ახალგაზრდა რევოლუციონერი. და იგი არც არასოდეს არ ტოვებს ამ გზას. იგი ხან დაპატიმრებულია, ხან გადასახლებული, ხან თავისუფალი. ხან დედაქალაქში ცხოვრობს, ხან ყინულოვან ჩრდილოეთში, ხან კიდევ სამხრეთის მცხუნვარე მზის ქვეშ კაპრის კლდოვან ბილიკებზე სეირნობს, ოქროსფერი ყვავილების და მეთევზეთა ჯმუხი ყმაწვილების ცქერით ტკბება. უყვარს სიცილი, და იცინის მთელი სხეულით. გადაწევს თავს უკან და იმავე დროს მხრებისაკენ, ამოიდებს ორ თითს ჟილეტის ქვეშ და ღებულობს მეტისმეტად საყვარელ პოზას. იგი უყვარს ყველას, ყველას — მუშებს, გლეხებს, მეზღვაურებს, ჯარისკაცებს, სტუდენტებს, ბავშვებს .. ყველა მზად არის თავი გაწიროს საყვარელი ბელადისათვის, ილიჩისათვის.

აგერ იგი ბრუნდება შვეიცარიიდან. მხიარულია, ღიმილი ერთი წუთითაც არ შორდება სახეზე, ეტყობა — რევოლუციის ცეცხლით ალმოდებულ სამშობლოში დაბრუნება გამოუთქმელ სიხარულს იწვევს მასში. გზადაგზა მას ეგებებიან მუსიკით და დროშებით.

ოქტომბრის მღელვარე დღეებია. ლენინი უკვე სმოლნშია და ამხ. სტალინთან ერთად რევოლუციურ ხელებში იღებს ოქტომბრის აჯანყების ორგანიზაციას. იგი ამ დღეებში მეტად მხიარულია, გახარებული, რაღაც განსაკუთრებული სინათლით ანათებს, შეუდრეკელი, მტკიცე, დარწმუნებული.

რევოლუციამ გაიმარჯვა.

ვინ არიან ისინი, ასე მხიარულად რომ იცინიან სანატორიუმის ბაღში? ეს ხომ ვლადიმერ ილიას ძეა, პატარა გოგონასთან სალაპარაკოდ რომ თამაშობს. აი გოგონამ სტაცა მას ხელი სახელოში. ილიჩი გაუსხლტა ხელიდან და თან დასცინის: — შენ მე არ დაგიჭერივარ, შენ ჩემი პიჯაკი დაიჭირე.

აგერ მიქრის ავტო. შიგ ლენინია. იგი პურის ბირჟაზე მიდის მიტინგზე, იქიდან მიხელსონის ყოფილ ქარხანაში მიეჩქარება:

იქ მას მუშები ელოდებიან. მიტინგი დამთავრდა. ლენინი ელაპარაკება მუშებს და ნელის ნაბიჯით მიდის მანქანისაკენ, სურს გადადგას უკანასკნელი ნაბიჯიც, იღიმება, მაგრამ, ოი, მანქანის მარცხნივ, წინა ფრთასთან, დგას შავებში გაძოწყობილი ქალი და რევოლვერს უმიზნებს ლენინს მარცხენა ბეჭის ქვეშით.

— რას ჩადიხართ, არ ესროლოთ! აი ჩემი პატარა გული, მე, მე მესროლეთ მის მაგივრად, ოღონდაც მას არა, არა!!

მე შემაკრთო ჩემმაგე ფიქრებმა, ნამდვილად მე ჩემ ოთახში ვზიავარ, ლენინის წიგნებითა და პორტრეტებით გარშემორტყმული, მისი მრავალფეროვანი, შინაარსიანი და მდიდარი ცხოვრებით გატაცებული, და მესმის საზიზღარი მანიკაპლანის რევოლვერის ხმა, თანაც თითქოს მძიმედ დაჭრილი ილიჩი ჩურჩულებს:

— წამიყვანეთ შინ, შინ...

ენძელა.



# ცხრა იანვრის დილა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეტერბურგის ცივ და ბურუსიან ღამეში მილიონები ელოდენ ალიარს.

გათენდა კიდეც... ქალაქის მთავარ ქუჩებში გაყინულ ქვაფენილებზე გამოჩნდენ შავი სილუეტები, შეერთდენ, და უკვე მოზღვავებული ხალხი ნელის ნაბიჯით გაემართა ზამთრის სასახლისაკენ. მიდიან ისინი, მიდიან წყნარად, მიდიან მეფესთან, რომ სთხოვონ პური, სთხოვონ მოწყალება.

არავითარი იარაღი, უბრალო ჯოხიც კი არ-სად მოჩანს... ისინი მიდიან მეფის სურათებით, საეკლესიო ბაირაღებით, დარწმუნებულნი, რომ „გულკეთილი“ მეფე შეიწყნარებს მათ თხოვნას. ბრბოს წინ მიუძღვის საეკლესიო შავი ტანსამოსით შემოსილი კაცი, რომლის ჩახლეჩილი ხმა დროდადრო გაისმის ხალხის „გასამხნევებლად“.

იგი გაპონია, მღვდელი გაპონი...

ხალხი თანდათან უახლოვდება ხიდს, იქ კი, მდინარის მიღმა, მოჩანს ჩაბნელებული ზამთრის სასახლე და მოედანი.

იქ სისხლმოწყურებული მეფის ერთგული ქოზაკები კბილებს ილესავდენ.

აი გამოჩნდა რუხფარაჯებიანი, ხიშტებიანი ჯარისკაცების ტეხილი მწკრივი... აი დეზებიანი ოფიცერიც. იმან უცბათ შეაშფოთა ხიდთან მოზღვავებული ხალხი.

— წინ, მეფესთან!—ერთხელ კიდევ გადასძახა გაპონმა, და ხალხიც დაიძრა.

საშუალო ტანის ქერაწვერებიანმა ოფიცერმა ხმალი ჰაერში შეითამაშა, რასაც ყრუ და შემზარავი გრუხუნი მოჰყვა.

აი მირბის დაჭრილი... ჭრილობიდან ნაჟური სისხლი ათასნაირად ხაზავს ქუჩის თოვლიან ზედაპირს...

როცა მოედანი დაჭრილ-დახოცილებით გაივსო, სროლაც მიწყდა. მხოლოდ წინამძღოლი —მამა გაპონი—აღარსად ჩანდა. ის გაპარა... მან ღირსეულად შეასრულა სისხლისმსმელი მეფის დავალება.

ირგვლივ ისმის დაჭრილთა კვნესა, ჰაერში კი დგას სისხლის სუნი და დენთის ბურუსი.

ძონძებში გახვეული 8 წლის ბიჭუნა მოდანთან, ვიწრო მოსახვევში ეძახის მამას... მაგრამ საბრალო ბავშვი ვერასოდეს ველარ ნახავს მას.

ასე გაძღა სისხლით ბოროტი მეფე.

ასე გადაიშალა ქუშათა კლასის ისტორიის სისხლიანი ფურცელი. პროლეტარიატმა ბევრი ისწავლა ამ სისხლიანი გაკვეთილიდან.

**ა. ალექსიძე**

# აბისინია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვ. ი. ჭოჭიაშვილი

აბისინია დიდი ქვეყანაა. მას იმდენი ტერიტორია უკავია, რამდენიც გერმანიასა და საფრანგეთს ერთად.

აბისინია დასერილია მაღალი მთაგრეხილებით. რომლებიც აკავებენ ინდოეთის ოკეანეს ნოტიო ქარებს. ამიტომ იქ ძალიან ხანგრძლივი წვიმები იცის, თითქმის ექვსი თვის განმავლობაში განუწყვეტლივ ძლიერი ტროპიკული წვიმა მოდის. წვიმების დროს ამ მთიან და უგზო ქვეყანაში მიმოსვლა ძალიან ჭირს. ზამთრობით წვიმს, ხოლო ზაფხულობით ისეთი სიცხეა, რომ აბისინიელებსაც კი ძალზე აწუხებს იგი, ევროპელებისათვის ხომ პირდაპირ აუტანელი ხდება.

აბისინია მდიდარია მთამადნეულით. აქ არის ოქრო, ძვირფასი თვლები, რკინა, სპილენძი, ნიკელი და სხვ.

ამ უზარმაზარ ქვეყანაში მოსახლეობა შედარებით მცირეა. სულ 10 მილიონია.

იქ ამჟამად ისეთი საზოგადოებრივი წყობილება არსებობს, როგორიც ევროპაში 700 წლის წინათ იყო. სახელმწიფოს სათავეში დგას ნეგუსი,—იმპერატორი, რომელიც ითვლება ამ ქვეყნის მთელი მიწაწყლის ბატონ-პატრონად; ივი ურიგებს მიწებს რასებს—თავადებს. თავადები და წარჩინებული პირები მიწაზე ამუშავებენ გლეხებს, რომელთა ნამუშევრის ნახევარი მათ მიაქვთ, გლეხებს გარდა აბისინიაში არის კიდევ ორ მილიონამდის მონა. ესენი არიან დამორჩილებული ტომების შთამომავლნი და ემსახურებიან თავის ბატონებს—თავადებს. ქალაქები აბისინიაში ძლიერ მცირეა. შეიძლება რამდენიმე ათასი კილომეტრი გაიაროთ და არცერთი ქალაქი არ შეგვხდეთ. აქაური ქალაქი სოფელს უფრო ჰგავს, ქალაქშიაც ისეთივე სახლებია, როგორც სოფელში, თუ შეიძლება სახლი ვუწოდოთ მას.

აბისინიელის „სახლი“ წარმოადგენს წნელისაგან მოწნულ ფაცხას, რომელიც არც სი-

ცოვისაგან, არც ფვიმისაგან და არც ქარისაგან არ იცავს მას. აბისინიელი ღამით იმავე ტანსაცმელით იძინებს, რომლითაც დღისით დადის: შარვლითა და პერანგით.

უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში იმპერიალისტური

აბისინიელი მეომარი

სახელმწიფოები თანდათან მოკალათდენ აღმოსავლეთ აფრიკის ნაპირებზე და ახლა აბისინიას ყოველი მხრიდან გარს არტყია ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის კოლონიები. თითოეული ეს სახელმწიფო ფხიზლად ადევნებს თვალს მეორეს, რომ მან ხელში არ ჩაიგდოს რომელიმე მსუქანი ნაჭერი.

პირველად ინგლისის ქვემეხებმა იუქეს აბისინიაში. ბრიტანეთის გენერალმა **ნეპირმა** აიღო მაგდალის ციხე. მთელმა აბისინიამ იგრძნო საფრთხის მოახლოება. აბისინიის ნეგუსი **მენელიკ მეორე** შეუდგა აბისინიის გაერთიანებას, რათა წინააღმდეგობა გაეწია იმპერიალისტების შემოტევისათვის, მაგრამ ფეოდალების ალაგმვა და დაქუცმაცებული აბისინიის გაერთიანება ადვილი საქმე არ იყო, ამიტომ მან ხელშეკრულება დადვა იტალიასთან, როგორც ნაკლებად საშიშ მოწინააღმდეგესთან, აღიარა მისი უფლებები **ერიტრეაზე**, სამაგიეროდ მიიღო მისგან იარაღი ფეოდალების დასამორჩილებლად. მაგრამ იტალიელებმა მოიწადინეს ამ ხელშეკრულების ისე გაგება, თითქოს იტალიის „მფარველობა“ მთელ აბისინიაზე ვრცელდებოდა. მაშინ მენელიკმა იტალიის წინააღმდეგ შეაბრუნა მახვილი და 1896 წელს ადუასთან სასტიკად დაამარცხა იტალიის ჯარი.

აბისინიელის სახლი

მენელიკი გარდაიცვალა 1913 წელს. ბრძოლა საქმე განაგრძო რას **ტაფარი მაკონენმა**, რომელმაც თანდათან ჩაიგდო ხელში ძალაუფლება. ამიტომ იგი არის აბისინიის ნეგუსი **ხაილე სელაიასის** სახელწოდებით. მას ევროპული განათლება აქვს, ევროპაში გამოზარდა ასეული აბისინიელი. მისი მეცადინეობით აბისინია ერთა ლიგის წევრი გახდა.

მაგრამ ეს ქვეყანა ჯერჯერობით უკულტურო და ღარიბი, მასთან მდიდარიც თავისი მთამადნეულით. ამიტომ იგი აღიზიანებს იმპერიალისტური სახელმწიფოების მადას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იტალიამ დიდიხანია ამოიღო ნიშანში აბისინია. იგი ორი მხრიდან დაუახლოვდა ამ ქვეყანას. ჩრდილოეთიდან მას აკრავს იტალიის კოლონია ერიტრეა, სამხრეთიდან — იტალიის სომალი.

იტალიას სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით ნაკლები კოლონიები აქვს. მასაც სურს კოლონიებით გამდიდრება. აფრიკა უფრო ახლოს არის მასთან, ვიდრე დედამიწის სხვა ნაწილები. აფრიკის საუკეთესო ქვეყნები — ალჟირი და ტუნისი — საფრანგეთს უჭირავს, ეგვიპტე — ინგლისს. ხოლო იტალიას სურს ხელში ჩაიგდოს აბისინია, რომელიც ფორმალურად ჯერჯერობით დამოუკიდებელი ქვეყანაა.

იტალია 40 წელიწადი ემზადებოდა აბისინიის ჩასაყლაპავად და საბაბს ეძებდა ომისათვის.

ამ ორი თვის წინათ ფაშისტური იტალიის ჯარი შეიჭრა აბისინიის ტერიტორიაზე. ორი თვეა გრძელდება უთანასწორო ბრძოლა.

ერთ მხარეზეა თავით ფეხებამდე შეიარაღებული იმპერიალისტური ქვეყანა — იტალია ომობს ტანკებით, ჰაეროპლანებით, შხამიანი გაზებით, გაწრთვნილი ჯარით, აბისინია კი მოკლებულია ყოველივე ამას. მაგრამ თუ იტალიის უპირატესობას ტექნიკა შეადგენს, სამაგიეროდ აბისინიის მოკავშირეა მისი გეოგრაფიული მდებარეობა.

როგორც უკვე ვთქვით, აბისინია მთაგორიანი და უგზო ქვეყანაა, ამასთან იქ ძალიან ჭირს სასმელი წყლის შოვნა, ჭები აქა-იქ არის დაფანტული უდაბნოში, უცხოელი მათ ეგრე ადვილად ვერ მიაგნებს. თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ აქაური ჰავა ძალზე ცუდ გავლენას ახდენს ევროპელებზე, ადვილი წარმოსად-

გენი იქნება, თუ რა უდიდესი სიძნელეების გადალახვა უხდება იტალიის ჯარს.

ჯერ კიდევ ომი არ იყო დაწყებული, რომ ინგლისი უკვე ამაგრებდა კუნძულ მალტას ხმელთაშუა ზღვაში, რათა მომზადებული შეხვედროდა იტალიის გამოსვლას. რაშია საქმე? საქმე ისაა, რომ ინგლისს თავისი ინტერესი აქვს აბისინიაში. აბისინიის მეზობელი ქვეყნები — სუდანი და ეგვიპტე — ინგლისის კოლონიებია. სუდანში ბამბის უმდიდრესი პლანტაციებია. სუდანის ბამბის მინდვრები ირწყვება იმ ტბით, რომელიც აბისინიაშია. ამ ტბაშია სათავე მდინარე ცისფერი ნილოსისა, რომელიც სუდანს ასაზრდოებს, ხოლო სუდანში არის მდინარე ნილოსის სათავე. ამის გამო სუდანის მფლობელ სახელმწიფოს შეუძლია თავის სურვილისამებრ შეამციროს ან გაადიდოს ნილოსის დინება ეგვიპეტში.

ამრიგად, იტალია აბისინიაში ომის ცეცხლის გაჩაღებით აყენებს მსოფლიოს ხელახლა დაყოფის საკითხს. მაგრამ იმპერიალისტურ სამყაროში, რომელიც უკვე დანაწილებულია, ვერცერთი იმპერიალისტური სახელმწიფო ვერ გაიფართოებს თავის ტერიტორიას, თუ მეორეს არ წაართვა. ამიტომ იტალია-აბისინიის კონფლიქტმა შეიძლება მსოფლიო ხანძარი გამოიწვიოს.

წყლის მზიდავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირს იტალია-აბისინიის ომისადმი გარკვეული პოზიცია უჭირავს. საბჭოთა კავშირი უარყოფს ყველა იმპერიალისტურ ომს, კოლონიზატორულ პოლიტიკას, ყოველნაირად იბრძვის მშვიდობიანობისა და ყოველი ხალხის დამოუკიდებლობისათვის. საბჭოთა კავშირი აბისინიის მშრომელ ხალხს უსურვებს არა მარტო იმას, რომ თავიდან აიცილოს კოლონიური მონობა, არამედ იმასაც, რომ დამსხვრიოს ბატონყმობისა და მონობის ბორკილები.

**შ. ლ — იძე.**

# პიონერის სიმღერა ძია სტახანოვზე

დროშას მაღლა მართავს
ძია სტახანოვი,
გმირობას ქმნის მართალს
მადაროში ომით.
უკეთესად შექმნის
ჩვენს ბაღს თვისი შრომით,
ჩვენთვის იბრძვის, ჩვენთვის,
ძია სტახანოვი!
როგორ არ ვიცეკვო,
როგორ არ ვიმღერო,
ჩემო კარგო ქვეყანა,
ჩემო მშვენიერო!

ბაღში ვარდებს შორის
ვწნავ ყვავილებს ჭრელებს,
ძია სტახანოვის
სურათს დავამშვენებ.
წავალ, ვეტყვი დედას,
რომ მიემართოთ თხოვნით:
სტუმრად მოვა ჩვენთან
ძია სტახანოვი!
როგორ არ ვიცეკვო,
როგორ არ ვიმღერო,
ჩემო კარგო ქვეყანა,
ჩემო მშვენიერო!

**ნიკოლოზ ფხაკაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ იწრთობოდა ფოლადი

**ნ. ოსტროვსკი**

ლენინურმა კომკავშირმა ბევრი ბრწყინვალე სახელი მისცა საბჭოთა ქვეყანას. კომკავშირის რიგებიდან ბევრი სახელოვანი ამხანაგი გამოსულა. ასეთი ამხანაგების რიცხვს ეკუთვნის ახალგაზრდა მწერალი ნიკოლოზ ოსტროვსკი. იგი სამოქალაქო ომების მონაწილე და ერთერთი აქტიური მებრძოლი კომკავშირელია. მან ამ ბრძოლებში მიიღო ჭრილობები და დაკარგა მხედველობა.

მაგრამ ოქტომბრის ქარიშხალში გამოწრთობილი ნიკოლოზ ოსტროვსკი არ დაიბნა, სულით არ დაეცა. ბრძამ დაწერა შესანიშნავი რომანი „როგორ იწრთობოდა ფოლადი.“ ეს რომანი ბოლშევიკური გმირობისა და ჩვენი სოციალისტური სამშობლოსადმი სიყვარულის საუკეთესო ნიმუშია.

ამხ. ოსტროვსკი პარტიამ და ხელისუფლებამ დააჯილდოვა ლენინის ორდენით და სოჭაში სასახლესაც უგებს.

ჩვენ აქ ვთავსებთ ამხ. ოსტროვსკის წიგნიდან პირველ თავს.

— ვინც დღესასწაულის წინ მოვიდა ჩემთან სახლში გაკვეთილის ჩასაბარებლად — ადექით!

და ანაფორიანმა, დალმეჭილმა კაცმა, მძიმე ჯვარი რომ ეკიდა კისერზე, მუქარით გადახედა მოწაფეებს. მისი პატარა, ბოროტი თვალები ხვრეტდა მერხიდან წარმომდგარ ექვს მოწაფეს — ოთხ ბიჭს და ორ გოგოს.

— თქვენ დაჯექით,—მიუგდო ხუცესმა გოგოებს. მამაო ვასილის თვალები ოთხ ბავშვზე შეჩერდა.

— აქეთ მოდით...

მამაო ვასილი ადგა, სკამი გასწია და შეჯგუფულ ბავშვებს თავზე დაადგა.

— აბა, სალახანებო, რომელი ეუწევით პაპაროსს?

ამ შეკითხვაზე ოთხივემ წყნარად უპასუხა:

— ჩვენ არ ვეწევით, მამაო.

ხუცესს სახეზე მოაწვა სისხლი.

— თუ არ ეწევით, საძაგლებო, წეკო ვინ ჩაყარა ცოცში? ეწევით თუ არა, ახლავე ვნახავთ. გადმოაბრუნეთ ჯიბეები! აბა ჩქარა! რა გითხარით?! გადმოაბრუნეთ მეთქი!

სამმა ბიჭმა მაგიდაზე დაალაგა, რაც ჯიბეში ჰქონდათ.

ხუცესი ყურადღებით ათვალიერებდა ნაწიბურებს. ეძებდა თამბაქოს კვალს, მაგრამ ვერაფერი ნახა და მეოთხეს, შავთვალა ბავშვს მიუბრუნდა, რუხი ხალათით და მუხლებზე დაკერებული ცისფერი შარვლით რომ იყო.

— შენ რას დამდგარხარ გამოთაყვანებულივით?

შავთვალამ ფარული სიძულვილით შეხედა და ყრუდ მიუგო:

— მე ჯიბეები არა მაქვს. —და ხელები მოისვა ჩაკერებულ ნაწიბურებზე.

— ა-ა-ა, ჯიბეები არა გაქვს? მაშ, შენ ფიქრობ, მე არ ვიცი, ვის შეეძლო ამ სისაძაგლის ჩადენა—ცოცის გაფუჭება? შენ ფიქრობ, ახლაც დარჩები სკოლაში? არა, ჩემო კარგო, შენ ეს ასე არ ჩაგივლის!

უკანასკნელად მხოლოდ დედაშენის ხათრით დაგტოვე, ახლა კი მორჩა! გაეთრევ კლასიდან! — ყურში ხელი სტაცა, ატკინა, დერეფანში კინწისკვრით გაგდო და კარი მიხურა.

კლასი მიინაბა, მოიკრუნჩხა, არავის ესმოდა, რატომ გააგდეს სკოლიდან პაკა კორჩაგინი. მხოლოდ სერიოჟკა ბრუზგაკი, პაკას მეგობარი და ამხანაგი, ხედავდა როგორ ჩაუყარა პაკამ ხუცესს ცომში წეკო სამზარეულოში, სადაც ხუცესს ექვნი ჩამორჩენილი მოწაფე უცდიდა. ეს ჩამორჩენილი მოწაფეები ხუცესს ბინაზე აბარებდნენ გაკვეთილს.

გამოგდებული პაკა კიბის უკანასკნელ საფეხურზე ჩამოჯდა. ის იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ მისულიყო შინ და რა ეთქვა დედისათვის. დედა კი ისევ მზრუნავი ჰყავს პაკას, რომ აქციზის ინსპექტორთან ფილიდან საღამომდის მუშაობს მზარეულად.

პაკას ცრემლები აღრჩობდა.

„რა ექნა ახლა? ყველაფერი იმ წყეული ხუცესის ბრალია. რა ეშმაკად ჩავუყარე წეკო! სერიოჟკამ წამაქეზა: მოდიო,—მითხრა,—ჩავუყაროთ ამ ბოროტ გველსო. ჰოდა ჩავუყარეთ. სერიოჟკას რა, მე ვიკითხო... უეჭველად დამითხოვენ.“

მამამ ვასილთან დიდი ხანია რაც ჩამოვარდა მტრობა. ერთხელ პაკა მიშკა ლეგეზუს წაეჩხუბა და „უსადილოდ“ დატოვეს. ცარიელ კლასში რომ არ ეცილქა, მასწავლებელმა პაკა უფროს კლასში შეიყვანა, მეორე კლასში. პაკა უკანა სკამზე ჩამოჯდა. გამხდარი, შავპიჯაკიანი მასწავლებელი დედამიწასა და მნათობებზე ლაპარაკობდა. პაკა ყურს უგდებდა და გაკვირვებისაგან პირი დაეღო. თურმე მიწა მრავალია, მილიონი წელია რაც არსებობს და ვარსკვლავებიც მიწასავით ყოფილან. პაკა ისე გაოკვირვა გაგონილმა, რომ წამოდგომაც კი მოინდომა, მასწავლებელისათვის უნდოდა ეთქვა: სამღვთო სჯულში ასე არა წერიაო, მაგრამ შეეშინდა, არ მომხვდესო.

სამღვთო სჯულში პაკას ყოველთვის ხუთს უწერდა ხუცესი. ყველა ტროპარი, ახალი და ძველი აღთქმა სულ ზეპირად იცოდა. მტკიცედ იცოდა, რომელ დღეს რა გააკეთა ღმერთმა. პაკამ გადაწყვიტა მამამ ვასილს შეჰკითხებოდა. სამღვთო სჯულის პირველსავე გაკვეთილზე, ისა-ის იყო ხუცესი სავარძელში ჩაჯდა, რომ პაკამ ხელი აწია. ხუცესმა ნება დართო, და პაკა ადგა.

— მამამ, რატომ ლაპარაკობს მასწავლებელი უფროს კლასში, რომ მიწა მილიონი წელია რაც დგასო. სამღვთო სჯულში კი წერია—ხუთიათას... და მაშინვე ჩაჯდა, ისე დაიყვარა ხუცესმა:

— რა თქვი, შე სალბანა?! ასე სწავლობ შენ სამღვთო სჯულს?!

პაკამ ხმის ამოღებაც კი ვერ მოასწრო, ისე ეცა ხუცესი ორივე ყურში და თავი კედელზე მიისვლევინა. ერთი წუთის შემდეგ ნაცემი და დაშინებული პაკა ხუცესმა დერეფანში გაგდო.

მაგრად მოხვდა პაკას დედისაგანაც.

მეორე დღეს დედა წავიდა სკოლაში და პაკა დიდის ხვეწნით მიაღებინა ხუცესს უკან. მას შემდეგ პაკამ მთელი თავისი არსებით შეიძულა ხუცესი. შეიძულა და ეშინოდა კიდეც. არავის აპატიებდა პაკა თავის პატარა წყენას. არ ივიწყებდა იმასაც, რომ ხუცესმა სცემა. პაკა გაბოროტდა, გულჩახვეული გახდა.

კიდევ ბევრი პატარ-პატარა წყენა გადაიტანა ბავშვმა მამამ ვასილისაგან: ხან კარში გაგდებდა ხუცესი, ხან მთელი კვირაობით კუთხეში დააყენებდა ტყუილ-უბრალოდ და არც ერთხელ არ უკითხავს გაკვეთილი. ამიტომ იყო, რომ აღდგომის წინ ჩამორჩენილ მოწაფეებთან ერთად მოუხდა ხუცესისათვის გაკვეთილების ჩაბარება. იქ იყო, სამზარეულოში რომ ჩაუყარა პაკამ წეკო ხუცესს საღდგომო ცომში.

ეს არავის დაუნახავს, მაგრამ ხუცესი მაშინვე მიხვდა, ვისი ნასაქმარიც იქნებოდა.

... გათავდა გაკვეთილი, ბავშვები გამოიშალნენ ეზოში და შემოეხვიენენ პაკას. პაკა პირქუშად დუმდა. სერიოჟკა ბრუზგაკი კლასიდან არ გამოდიოდა, გრძნობდა, რომ ისიც დამნაშავე იყო, მაგრამ ამხანაგისათვის არაფერთი შეეძლო შველა.

სამასწავლებლო ოთახის გალებულ ფანჯარაში სკოლის გამგის ეფრემ ვასილიჩის თავი გამოჩნდა და მისმა ბოხმა ხმამ პაკა შეაკრთო.

— ახლავე გამოგზავნეთ ჩემთან კორჩაგინი! — დაიყვირა გამგემ. გულისფანცქალით გაემართა პაკა სამასწავლებლოში.

—

სადგურის ბუფეტის პატრონმა, ხანშესულმა, ფერმკრთალმა კაცმა, გახუნებული თვალებით ძლივს შეხედა გვერდზე დამდგარ პაკას.

— რამდენი წლისაა?

— თორმეტისა,—უპასუხა დედამ.

— დე, დარჩეს. პირობა ასეთია: თვეში რვა მანეთი და საკმელი სამუშაო დღეებში. ერთი დღე-

ღამე მუშაობა, მეორე დღეღამე დასვენება. ქურდობა არ იყოს!

— რას ბრძანებთ, რას ბრძანებთ! ქურდობას არ ჩაიდენს, სიტყვას გაძლევთ, — შიშით თქვა დედამ.

— მაშ დღესვე დაიწყოს მუშაობა, — ბრძანა ბუფეტის პატრონმა, მერე მიუბრუნდა მის გვერდით დახლთან მდგომ მაღალ ქალს, გამოდეველს, და სთხოვა: — ზინა, წაიყვა ბავშვი ჭურჭლების სამრეცხაოში, უთაარი ფროსინეას, გრიშკას მაგვარად ამას მისცეს სამუშაო. გამყიდველმა ქალმა დაადგო დანა, ლოსო რომ ჭრიდა, პავკას თავი დაუქნია და დარბაზი გაიარა. ქალი განის კარით გავიდა ჭურჭლის სამრეცხაოსკენ. პავკა უკან გაჰყვა დედა აჩქარებული ნაბიჯით მიჰყვებოდა უკან და ყურში ჩასჩურჩულებდა:

— პავლუშა, ჭირიმე, ეცადე თავი არ შეირცხვინო.

დედამ სევდიანი თვალები გააყოლა შვილს და გასასვლელისაკენ წავიდა. ჭურჭლის სამრეცხაოში გამალებული მუშაობა იყო: თეფშების, ჩანგლების, დანების მთელი გორა იდგა მაგიდაზე, რამდენიმე ქალს ხელ სახოცი გადაეგდო მხრებზე და წყენდნენ ამ გორებს.

პაკლუშაზე ოდნავ უფროსი ქერა ბიჭი დავუარცხნავი, ამურძგნული თმებით ორ ვედერთელ სამოვარს შუა ფუსფუსებდა.

ჭურჭლის სამრეცხაო სავსე იყო მდუღარე წყლით და ვარცლის ანორთქლით. ამ ვარცლში რეცხდენ ჭურჭელს, და პავკამ პირველად ვერც კი შეამჩნია მომუშავე ქალების სახე. პავკა იდგა ჭურჭლის სამრეცხაოს შუა ადგილას და არ იცოდა რა ექნა, სად წასულიყო.

ზინა მივიდა ჭურჭლის ერთ მრეცხავ ქალთან, მხარზე დაადო ხელი და უთხრა:

— აი, ფროსკა, ახალი ბიჭი მოგიყვანე გრიშკას ნაცვლად. აუსწინი, რა უნდა აკეთოს.

ზინა მიუბრუნდა პავკას, ფროსკაზე მიუთითა და უთხრა:

— ისაა აქ უფროსი, რაც მან გითხრას, ის გააკეთე, — შემდეგ მობრუნდა და ბუფეტისკენ წავიდა.

— კარგი, — წყნარად უპასუხა პავკამ და მის წინ გაჩერებულ ფროსიას შეხედა. ფროსიამ ეფერა ზოცა შუბლიდან, ზემოდან გადმოხედა პავკას, ოდნავ ქოს მის ლირსებებს იფასებსო. შემდეგ ფროსიამ იდაყვიდან ჩამოგდებული სახელო გაისწორა და საოცარი საამური ღიღინა ხმით უთხრა:

— ცოტა სამე გექნება, ჩემო კარგო; აი, ეს ქვაბი უნდა გაახურო. დილას ქვაბში ყოველთვის უნდა გქონდეს ცხელი წყალი. შუშა უნდა დააპო, ეს სამოვრებიც შენი საქმეა. შემდეგ, როცა საჭირო იქნება, დანა-ჩანგალი უნდა გაწმინდო, ნარეცხიც უნდა გადაამეცინო. სამუშაო საკმარისი გექნება, ჩემო კარგო, დაიქანცები, — ეუბნებოდა ფროსია. ფროსიას კილომ და ცხვირაკურტნულმა აწითლებულმა სახემ პავკა მხიარულ გუნებაზე დააყენა.

„ამ ბიცოლას არა უშავს“ — გადაწყვიტა თავისთვის პავკამ, გაბედა და ჰკითხა, ფროსიას:

— ახლა რა ვაკეთო, მამიდა?

ჰკითხა და დაიბნა. სამრეცხაოში მომუშავე ქალების მაღალმა ხარხარმა დაფარა მისი უკანასკნელი სიტყვები.

— ხა-ხა-ხა-! — ფროსკამ ძმისწული იპოვა...

— ხა-ხა! — ყველაზე ბევრს ფროსია იცინოდა.

პავკა ვერ ხედავდა ორთქლში დაფარულ ფროსიას სახეს. ფროსია კი თვრამეტი წლისა იყო.

სულ დაიბნა პავკა, ბიჭს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— რა უნდა ვაკეთო ახლა?

მაგრამ ბიჭმა შეკითხვაზე მხოლოდ ჩაიცინა:

— მამიდას ჰკითხე, ყველაფერს ჩაგიბულბულებს, მე აქ დროებით ვარ.

ბიჭი მობრუნდა და გავარდა კარში, სამზარეულოსაკენ.

— აქ მოდი, ჩანგლების გამშრალებაში მომეხმარე, — მოესმა პავკას ჭურჭლის მრეცხავის, ერთერთი ხანშესული ქალის ხმა.

— რას ბიხვინებთ? რა თქვა ბავშვმა ისეთი! აი, აიღე, — და ქალმა პავკას ხელსახოცი მისცა, — ერთი ბოლო კბილებში დაიჭირე, მეორე ბოლო ცერად გაწიე. ჩანგლის წვეტები შიგ, ჩაყავი, იქითა-ქეთ გააქანე და წმინდე, ოღონდ-კი ერთი ბეწვი უსუფთაობა არ ჩარჩეს შიგ, ჩვენ ამისათვის მკაცრად ვსჯით. ბატონები ჩანგლებს ათვალიერებენ და თუ ჭუჭკი შენიშნეს, უბედურება იქნება, ჩვენი პატრონის ცოლი წამსვე გაგაგდებს.

— როგორ თუ პატრონის ცოლი? — ვერ მიხვდა პავკა; ჩვენი უფროსი ხომ ისაა, ვინც მე მიმიღო. ქალმა გაიცინა.

— ის, შვილო, ავეჯივითაა, ლეიბია. აქ ყველაფერი მის ცოლს ეკითხება. დღეს ის შინ არაა, აი, წაიმუშავებ და ნახავ.

ჭურჭლის სამრეცხაოს კარები გაიღო და სამი ოფიციანტი შემოვიდა. მათ ბინძური ჭურჭლის მთელი გორა მოჰქონდათ.

ერთმა ბეჭებგანიერმა, ელამმა ოფიციანტმა, ოთხკუთხა სახე რომ ჰქონდა, თქვა:

— აბა გაინძერით, საცაა თორმეტი საათის მატარებელი ჩამოდგება, თქვენ კი აქ ბუნძულობთ.

პავკას შეხედა და თქვა:

— ეს ვინაა?

— ეს ახალია,—უპასუხა ფროსიამ.

— ახალი? – ჩაიღაპარაკა ელამმა.– აი რა,—და მძიმე ხელი მხარზე დაადო პავკას, თანაც სამოვრისაკენ უბიძგა, –სამოვრები ყოველთვის მზად უნდა გქონდეს. ისინი კი, ხედავ, ერთი ჩამქრალა, მეორე ძლივს სუნთქავს. დღეს ეს გეპატიება, მაგრამ ხვალიც თუ ასე იქნა, ცხვირპირის დაგამტვრევ. გაიგე?

პავკამ არაფერი უპასუხა და ეცა სამოვრებს.

ასე დაიწყო მისი შრომითი ცხოვრება. არასოდეს იმდენს არ ცდილა პავკა, როგორც იმ პირველ სამუშაო დღეს. მიხედა პავკა, რომ სამრეცხო მისი სახლი არაა, სადაც შეგიძლია ყური არ უგდო დედას. ელამმა ნათლად უთხრა—არ დამიჯერებ და ცხვირპირს დაგამტვრევო.

ღიპიანი, ოთხეედრიანი სამოვრებიდან ნაპერწკლები ცვიოდა, როცა პავკამ ჩექმა გაიძრო, მილს ჩამოაცვა და სამოვარს ბერვა დაუწყო. ნარეცხთ სავსე ვედრას ხელს დაავლებდა დ მირბოდა ნარეცხის ორმოსკენ. ქვაბს შეშას შეუკეთებდა, ადუღებული სამოვრების თავზე სველ ხელსახოცებს აშრობდა. ყველაფერს აკეთებდა, რასაც ეუბნებოდნენ. მთელი დღის განმავლობაში დაქანცული პავკა გვიან ჩავიდა სამზარეულოში. მრეცხავმა ხანშესულმა ანისიამ პავკას თვალი გააყოლა, და პავკამ რომ კარი გაიხურა, თქვა:

— ეს ბიუნა უცნაურია. გიჟივით დარბის. კარგს არაფერს ჩაიდენდა, . ალბათ, რომ სამუშაოზე გამოგზავნეს.

— ჰო, ყოჩაღი ბიჭია,— თქვა ფროსიამ,—ასეთს წათაქება არ უნდა.

— ჩქარა მოითენთება—ჩაუმატა ლუბამ,—თავდაპირველად ყველა ცდილობს.

დილის შვიდი საათი იყო, უძილო ღამითა და დაუსრულებელი სირბილით დაქანცულმა პავკამ დადუღებული სამოვრები რომ ჩაადარა თავის შემცველ ურცხეთვალა ბიჭს.

ბიმმა რომ ყველაფერი რიგზე ნახა და ადუღებულ სამოვრებსაც დახედა, ხელები ჯიბეში ჩაიწყო, გააპურჭყა, ზიზღითა და თაკმომწონედ შეხედა პავკას მოთეორო თვალებით და მკვახე ხმით უბრძანა:

— ეი, შენ, ლაჩარო, ხვალ დილის ექვს საათზე მოდი ცვლაზე.

— რატომ ექვსზე?—ჰკითხა პავკამ,—ხომ შვიდზე იცვლებიან?

— ვინც იცვლება, დეე შეიცვალოს, შენ კი ექვსზე მოდი. ყბედობა არ დაიწყო, თორემ ცხვირპირს გაგიღიმაზ ებ. ერთი შეხე ამ პაიკს, ეს-ეს არის ჩავიდა და მეტჩრობს!

ბუჩულის მრეცხავმა ქალებმა ის-ის ეგონა ბიჭი რეს მორიგეობა ახალმოსულზეს და ინტერესით [illegible] დებდენ ყურს ორი ბიჭშვის საუბარს. ბიჭის თავხედურმა კილომ და ყოყ ჩინა მოპყრობამ გააბრაზა პავკა. ერთი ნაბიჯით მიიწია თავის შემცველთან და უნდოდა ფაღარა ელეწა, მაგრამ შეეშინდა პირველსავე დღესვე არ გამაგდონ სამუშაოდანო და შეჩერდა. მოიღუშა და უთხრა:

— იყუჩე. თავს ნუ იგდებ, თორემ მიიღებ შენსას. ხვალ შვიდზე მოვალ. რაც შეეხება ჩხუბს, შენზე უფრო ცუდად კი არ ვიცი. თუ გინდა, სცადე, ინებე.

მოწინააღმდეგემ ქვაბისაკენ დაიხია და გაკვირვებით შეხედა აბურძგვნილ პავკას. ასეთ მტკიცე და მარჯვე დახვედრას არ მოელოდა და, ცოტა არ იყოს, სახტად დარჩა.

— კარგი, ვნახოთ,—ჩაიღუდღუნა მან.

პავკა ქალებთან ერთად გამოვიდა სადგურიდან და შინისაკენ გაეშურა.

პირველმა დღემ კარგად ჩაიარა, და პავკა ისე მიაბიჯებდა შინისკენ, როგორც ადამიანი, რომელიც-მაც პატიოსნად დაამესახურა თავისი დასვეტება. ახლა პავკაც შრომობს და ვერავინ ეტყვის მუქთახორა ხარო.

დილის მზე ზარმაცად ამოდიოდა ხეტყის სახერხი ქარხნის ვეიბერთელეს შენობიდან. აი, ჩქარა პავკას სახლიც გამოჩნდება, აი აქ, ახლავე, ლეშჩინსკის მამულს იქით. „დედას, ალბათ, არ სძინავს, მე კი სამუშაოდან ვბრუნდები, – ფიქრობდა პავკა და ნაბიჯს უჩქარა, სტვენა დაიწყო. — არც ისე ცუდი გამოვიდა, სკოლიდან რომ გამომაგდეს; სულერთია, წყეული ხუცესი მოსვენებას არ მომცემდა, ახლა კი ფეხებზე მკიდია შენი ხუცესი, —მსჯელობდა პავკა, სახლს რომ უახლოვდებოდა. ჭიშკარი რომ გაალო, ბაღსინდა:—იმ ქერა ბიჭს კი უეჭველად დაეუნაყვე ცხვირს, უეჭველად!

დედა ეზოში სამოვართან ფუსფუსებდა. შვილი რომ დაინახა, შიშით ჰკითხა:

— როგორაა საქმე?

— კარგად,—უპასუხა პავკამ.

დედას უნდოდა რაღაცაზე გაეფრთხილებია. პავკა მიხვდა. ღია ფანჯარაში მისი ძმის არტემის ფართო ზურგი მოჩანდა.

— არტემი ჩამოვიდა? — ჰკითხა პავკამ დედას დაბნეულად.

— გუშინ ჩამოვიდა და აქ დარჩება, დეპოში იმსახურებს.

პავკამ არც თუ ისე გაბედულად შეაღო ოთახის კარი. ვეიბერთელი კაცი, პავკასაკენ რომ ზურგით იჯდა, მობრუნდა, და პავკაზე შეჩერდა ორი მრისხანე თვალი სქელი, შავი წარბებიდან.

— ოჰო, მოვიდა წეკოს ოსტატი? გამარჯობა.

ჩამოსულ ძმასთან საუბარი არაფერ სასიამოვნოს არ უქადდა პავკას.

„არტემამ უკვე ყველაფერი იცის, — გაიფიქრა პავკამ, — არტემს შეუძლია თან დამტუქსოს და მიმბეზღვოს კიდეც“.

პავკას ეშინოდა არტემისა.

მაგრამ არტემს, ეტყობოდა, ჩხუბის თავი არა ჰქონდა. ის იჯდა ტაბურეტზე, იდაყვით მაგიდას დაბჯენოდა და პავკას არ აშორებდა თვალს. დაცინოდა თუ აჯავრებდა — ვერ მიხვდა პავკა.

— მაშ, შენ ამბობ, რომ უნივერსიტეტი უკვე დამთავრე, ყოველგვარი მეცნიერება შეისწავლე და ახლა ნარეცხს მოჰკიდე ხელი? — თქვა არტემმა.

პავკა დაამტერდა იატაკის გაბზარულ ნახევარს და გულდასმით დაკვირდა ლურსმანს, თავი რომ ამოეყო, მაგრამ არტემი ადგა და სამზარეულოში გავიდა.

„ალბათ უცემატყეპოდ ძოგვარდება საქმე“, — იფიქრა პავკამ და თავისუფლად ამოისუნთქა.

ჩაის დროს არტემი დამშვიდებით ეკითხებოდა პავკას კლასში მოხდარ ამბავზე.

პავკამ ყველაფერი უამბო.

— რა დაგემართება მომავალში, როცა ასეთი ხულიგანი იზრდები? — სეცდით ჩაილაპარაკა დედამ. — რა ვუყოთ ამ ბავშვს? ვის ჰგავს ასეთი ოხერი? ღმერთო ჩემო, რამდენი ტანჯვა გადავიტანე ამ ბავშვის გამო! — ჩიოდა დედა.

არტემმა ცარიელი ჭიქა გადადგა, პავკას მიუბრუნდა და უთხრა:

— აი რა, ძამია, რადგან ასე მოხდა, ფრთხილად იყავ. სამუშაოზე ოინები არ გაბედო, ყველაფერი ისე გააკეთე, როგორც საჭიროა. თუ იქიდანაც გამოგაგდეს, ისე გაგხდი, რომ სიგრძე სიგანედ გადაგექცეს. ეს დაიხსომე. კმარა დედის შეწუხება! სადაც ფეხს დადგამ, ჯილგან აურზაურს ასტეხ, ყველგან აურდაურეკ. მაგრამ აწ მორჩა და გათავდა! ერთი წელი თუ იმუშავე — ვთხოვ დეპოში მიგიღონ მოწაფედ, იმიტომ რომ იმ ორმოში შენ კარგი ვერ გამოხვალ. ხელობა უნდა შეისწავლო. ახლა პატარა ხარ, მაგრამ ერთი წლის შემდეგ ვთხოვ, ეგებ მიგიღონ. მე აქ გადმოვდივარ და აქ ვიმუშავებ. დედა ალარ იმუშავებს. კმარა, რაც ქედს იხრიდა ყოველნაირი გარეწრის წინაშე. შენ, პავკა, გონს მოდი, კაცი უნდა გამოხვიდე.

არტემი მაღალი იყო. ის ადგა, მხრებში გაიშალა, სკამის ზურგზე დაკიდებული პიჯაკი ჩაიცვა და დედას უთხრა:

— საქმეზე მივდივარ ერთი საათით.

კარებთან მოიხარა და ისე გავიდა. ეზოდან, ფანჯარას რომ გაუსწორდა, დაუძახა პავკას:

— ჩექმები და ჯაყვა ჩამოგიტანე, დედა მოგაცემს.

თარგმანი **რ. ძოწაძიისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიმიტრი ფურმანოვი

„უფრო ხშირად, უფრო ძლიერად და ბოროტად ალაპარაკდენ ქვეყეზები. სტანიცა ნერვიულად იჩქაროდა შეეჩერებია მიწოლილი წითლების რკალი. ორივე მხარე აძლიერებდა ცეცხლს.

აგზნებული, ცეცხლიანი თვალებით დაძრწის **ჩაპაევი** ერთი ბოლოდან მეორე ბოლოში, გზავნის შიკრიკებს ხან ტყვიამფრქვეეებთან, ხან ყუმბარებთან, ხან ლეგიონის მეთაურთან, ხან კიდევ კვლავ თვითონ მიაქანებს ცხენს, და ხედავენ მეომრები, როგორ დაქრის ყველგან მისი გამხდარი და მარდი ფიგურა. აი მოიქროლა მასთან ცხენოსანმა, რაღაც სწრაფად, სწრაფად უთხრა მას.

— სად? მარცხენა ფლანგზე?—შესძახა ჩაპაევმა...

და იგი გაექანა მეთაურთან იქით, მარცხენა ფლანგზე, სადაც მუქარით ჩამოწვა საფრთხე.

...და უეცრად იხუელა მოულოდნელად:

— ამხანაგებო! ვაშა! ვაშა! ვაშა!

აღარ ისმის ყაზახების ტყვიამფრქვეეების კაკანი; აკუწეს ტყვიამფრქვეველები...

სტანიცას მოედვა წითელარმიელთა ბობოქარი ტალღა...

სადღაც შორს, შორს ციმციმებენ უკანასკნელი მხედრები...

წითელი არმია შეეიდა სტანიცა სლომიხინში...

ასე მოგვითხრობს **ფურმანოვი** თავის წიგნში „ჩაპაევი“ **ჩაპაევის** დივიზიის ძლევამოსილი შეტევის შესახებ ურალის ფრონტზე. იგი ამას წერდა როგორც არმიის ჩაპაევის დივიზიის კომისარი, ყველაფერ ამის თვალით მნახველი. ფურმანოვი ყველგან მებრძოლთა პირველ რიგებში მიდიოდა, რევოლუციის საქმისათვის თავის თავდადებული ბრძოლით მაგალითს აძლევდა წითელ მეომრებს.

ორი წლით ადრე **ფურმანოვი** იმპერიალისტურ ომში ღებულობდა მონაწილეობას, სანიტრად იყო. ომიდან დაბრუნდა სამშობლო მხარეში, ივანოვოში. აქ, ივანოვოში, იგი შეხვდა ადამიანს, რომელიც გახდა მისი რევოლუციური ბრძოლის მასწავლებელი — ამხანაგ **ფრუნზეს**.

ფრონტზე **ფურმანოვს** ნიშნავენ 25-ე **ჩაპაევის** დივიზიის კომისრად.

**ფურმანოვი** კულტურული, დინჯი ადამიანია. იგი ეხმარება მამაც პარტიზან **ჩაპაევს**, რომელსაც სურს, გახდეს წითელი არმიის დისციპლინირებული მეთაური. **ფურმანოვი** არ იშურებს თავის ძალღონეს, დღიდან დღეზე მტკიცედ, დაჟინებით მიდის იგი თავისი მიზნისაკენ—გადა-

აქციოს შესანიშნავი პარტიზანი **ჩაპაევი** შეგნებულ მებრძოლად.

**ჩაპაევის** დივიზიიდან **ფურმანოვი** გადასროლილ იქნა სემირეჩიეში, თურქესტანის ფრონტზე. აქ **ფურმანოვს** მოუხდა ბრძოლა კონტრრევოლუციურ აჯანყებასთან ქ. ვერნში. ამ აჯანყებას **ფურმანოვი** ებრძოდა არაჩვეულებრივი გამბედაობითა და ჭკვიანად. რამდენჯერ იგი დაღუპვის პირად იყო, მაგრამ ბოლშევიკის გული ოდნავადაც არ შემკრთალა. სიკვდილს პირდაპირ უყურებდა თვალებში.

**ფურმანოვმა** დაიმახსოვრა და ჩაიწერა დღიურებში თავისი შეხვედრები წითელ მებრძოლებთან მუშებთან, გლეხებთან, რევოლუციური არმიის ბელადებთან, და ყველა ეს გამოიყენა მან, როგორც მწერალმა.

როდესაც სამოქალაქო ომის ქუხილი შეწყდა, **ფურმანოვი** დაბრუნდა მოსკოვში, წინანდელი დროშის ორდენით დაჯილდოებული, და ხელი მოჰკიდა კალამს. მისი წიგნები „**ჩაპაევი**“, — **ჩაპაევის** გმირული დივიზიის შესახებ, „**აჯანყება**“ — თურქესტანის ფრონტის **შესახებ**, „**დესანტი**“ — ომის შესახებ ყუბანში, — სამოქალაქო ომის დიადი ეპოქის დიად ძეგლებად იქცა. ამ წიგნებს ერთნაირი გატაცებით კითხულობენ როგორც მოზრდილები, ისე ბავშვები.

1925 წელს **ფურმანოვი** გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა, სულ რაღაც 35 წლის.

**შ. ბვინჩიძე**

ხან თოვს მორცხვად, ხან ქარი ქრის,
შეეჭვია ზვინებს მურა...
გრეიფრუტის მცენარეს კი
უკვე ყვავილი მოუხურავს.
რა ქნას ამა! ჩემებრ ხომ ვერ
მოუჯდება ცეცხლს და კერას!
ვერ გავიგე, მორთულობა
მაინც რისგან შეიკერა?
უყვარს სითბო, იცის დარდი
და თოვაში თავის დახრა.
რახანია თვალახვეულს
ზეცა აღარ დაუნახავს.
დუმს, ისვენებს, ზამთარია,
ჩანს, გაუტკბა უკვე ძილი.
არ დავძრახავთ, ოღონდ ყინვამ
არ გაუხმოს კოხტა ძირი.

მერე წელს რა დიდებულად
მოისხა და გაიზარდა!
არის კარგად შეხვეული
და გაუძლებს, ვიცი, ზამთარს.
ნუ იფიქრებთ, ბევრი ძილით
სიზარმაცე დაეჩვევა.
არ შეცდება, იცის მკთალი
და ბრწყინვალე მზის გარჩევა.
როცა მარტი ერთად კვირტებს
ააფეთქებს ყველგან ბაღში,
მარადმწვანე გრეიფრუტიც
თავმომწონედ ტოტებს გაშლის,
ჰირს დაიბანს, ცას შეხედავს,
გაახარებს მზე და სივრცე,
და ქვეყანას მოსახმარად
ოქროსავით ნაყოფს მისცემს.

**გიორგი კაჭახიძე**

# დიდი მწერალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოცდახუთი წლის წინათ გარდაიცვალა ცნობილი რუსი მწერალი ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი, რომელმაც დაწერა ბევრი მეტისმეტად კარგი წიგნი. მას იცნობენ არა მხოლოდ საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც. მისი თხზულებები გადათარგმნილია ძალიან ბევრ ენაზე, ასე რომ მთელი ქვეყნიერება იცნობს მის ნაწერებს. ქართულადაც ითარგმნა მისი თხზულებებიდან რამდენიმე, მაგალითად: „**ბაჯი მურატი**“ (ძალიან საინტერესო წიგნია), „**ბავშვობა, ყრმობა და ახალგაზრდობა**“. ეს უკანასკნელი წიგნი ძალიან აინტერესებს ახალგაზრდობას; აქ ტოლსტოი მხატვრულად მოგვითხრობს, თუ როგორ გაატარა მან თავისი ბავშვობა, ყრმობა და ახალგაზრდობა, რა პირობებში უხდებოდა ცხოვრება, რას წარმოადგენდა ის საზოგადოება, რომელშიდაც უხდებოდა ტრიალი.

ლ. ტოლსტოი დაიბადა 1828 წელს. მამამისი მგბატონე იყო, ყმები ჰყავდა და ვინაიდან მათ ცუდად ეპყრობოდა, გლეხებმა მოკლეს. დედაც ადრე გადაეცვალა. თავადაზნაურობა ანებივრებდა თავის შვილებს და სულ იმას ჩასჩიჩინებდენ ბავშვებს — თქვენ ბრწყინვალე წოდების ხართ, თქვენ ხართ ყველაფერი, გლეხები ვინ ყრიან, ისინი ადამიანებიც კი არ არიანო.

ტოლსტოისაც ასე ზრდიდენ. ის რომ წამოიზარდა და სოფლიდან, თავისი მამულიდან ქალაქში მოხვდა, გაუკვირდა: რატომ ყველა არ მიკრავს თავსო?

ტოლსტოი კავკასიაშიც იყო, ტფილისშიც ცხოვრობდა, გერმანელების ახალშენში. პირველ ხანებში ტოლსტოი თავისი წოდების დამცველი იყო, მაგრამ რაც უფრო აკვირდებოდა ცხოვრებას, მით უფრო ნათლად ხედავდა, თუ რა საშინელ დღეში იყო გლეხობა, როგორ აწამებდენ მას მგბატონენი. მაშინ ტოლსტოიმ ზურგი შეაქცია „ბრწყინვალე“ საზოგადოებას და გლეხობას თანაუგრძნობდა სავსებით; ის უარყოფდა მეფის რუსეთის ეკლესიას, ჯარს, სასამართლოს...

რას ქადაგებდა ტოლსტოი?

ის ილაშქრებდა ჯარისა და სასამართლოს წინააღმდეგ, მაგრამ ამბობდა: ძალით წინააღმდეგობა არ უნდა გავუწიოთ ბოროტებასო.

გენიალური მწერალი ლევ ტოლსტოი ხედავდა ბოროტებას, მაგრამ ვერ გამოენახა მის წინააღმდეგ. ბრძოლის საშუალებანი. ლენინი იძლევა ტოლსტოის თხზულებების შესანიშნავ კრიტიკას. ის გვიჩვენებს, რომ ტოლსტოის შემოქმედებაში იყო საშინელი წინააღმდეგო-

ბანი. მართლაც და, ტოლსტოის ეზიზღებოდა ირგვლივ გაბატონებული უსამართლობა, ჩაგვრა-მონობა, ამავე დროს კი ამბობდა: ძალით წინააღმდეგობა არ უნდა გავუწიოთ ბოროტებასო!

საკუთარ ოჯახში ტოლსტოი ცუდ დღეში იყო: მისი აზრები არ მოსწონდათ და ჩუმად ყველაფერს უჩხრეკდენ, ყოველ მის ნაწერს კითხულობდენ. მეფის მთავრობაც არ ენდობოდა მას და იმ პირებს გადაასახლებდა ხოლმე, რომლებიც ტოლსტოისთან კარგ განწყობილებაში იყვნენ.

ტოლსტოიმ ვერ აიტანა საკუთარი ცოლშვილის მიერ თვალყურის დევნება და გაიპარა თავისი ოჯახიდან. გზაში გაცივდა და სადგურ ასტაპოვოში გარდაიცვალა 1910 წლის 20 ნოემბერს (ახალი სტილით). ამ სადგურს ახლა „ლევ ტოლსტოი“ ჰქვია.

მიუხედავად იმისა, რომ ტოლსტოის მოძღვრება ბოროტებისთვის ძალით წინააღმდეგობის გაუწევლობის შესახებ ყოვლად მიუღებელია, ტოლსტოი გენიალური მწერალია და ამიტომ მას კიდეც აფასებდა ვ. ი. ლენინი. ლენინი მოითხოვდა: ტოლსტოის თხზულებები სრულად, უკლებლივ უნდა გამოიცესო.

ლევ ტოლსტოის თხზულებები 95 ტომად გამოდის.

**შ. თაბუკაშვილი**

# სიმკას, ფედკას და ლ. ტოლსტოის თხზულება

ერთხელ ნასადილევს მივედი სკოლაში*). რუსული ენის კლასი იყო.

— ამა, დაწერეთ ანდაზაზე,— ვუთხარი მათ.

საუკეთესო მოწაფეებმა—სიმკამ, ფედკამ და სხვებმა—ყური დაკვიტეს.

— როგორ თუ ანდაზაზე? რაო? გვითხარით! — დამაყარეს კითხვები.

გადაიშალა ანდაზა: „კოვზით გაქმევს, ღეროთი კი თვალს გიჩხვლეტს“.

— აი, წარმოიდგინე,— ვთქვი მე,— რომ გლეხმა შინ წაიყვანა ვიღაც მათხოვარი, მერე კი თავისი სიკეთე დაამადლოვა,— გამოდის, რომ „კოვზით გაქმევს, ღეროთი კი თვალს გიჩხვლეტს“.

— ამა მაგას რა დამაწერინებს!— თქვა ფედკამ, და ყველა დანარჩენიც, რომლებიც ყურადაქვეტილნი იყვნენ, ჩამომშორდენ, ვინაიდან დარწმუნდენ მაგის გამკეთებელნი ჩვენ არა ვართო, და წინათ დაწყებულ სამუშაოს მიუბრუნდენ.

— შენ თვითონ დაწერე, —მითხრა რომელიღაცამ.

ყველა გართული იყო მუშაობაში; მე ავიღე კალამი და სამელნე და დავიწყე წერა.

— ამა ვნახოთ,—ვთქვი მე—ვინ უკეთ დაწერს. მეც თქვენთან ერთად ვწერ.

მე დავიწყე მოთხრობა და დავწერე პირველი გვერდი.

ფედკა თავისი რვეულიდან სულ მე მომჩერებოდა და ერთმანეთს რომ თვალს თვალში გავუყრიდით, გაიღიმებდა, თვალს ჩამიკრავდა და ამბობდა: „წერე, წერე, მე გიჩვენებ შენ სეირს“. მას, როგორც ეტყობა, ინტერესებდა, დიდი ადამიანიც რომ თხზავდა. მან ჩვეულებრივზე უფრო ცუდად და უფრო მალე დაასრულა თხზულება. ავიდა ჩემი სავარძლის ზურგზე და ჩემ ბეჭს უკან მყოფმა დაიწყო ჩემი ნაწერის კითხვა. მე ვეღარ განვაგრძე წერა. სხვებიც მოვიდენ ჩვენთან, და მე ხმამაღლა წავუკითხე მათ ჩემ მიერ დაწერილი; არ მოეწონათ, არავინ არ შემაქო. მე შემრცხვა, და რომ დამემშვიდებია ჩემი ლიტერატურული თავმოყვარეობა, ვუთხრე მათ ჩემი გეგმა, თუ შემდგომ რას დავწერდი. თხრობამ თანდათან გამიტაცა, შევასწორებდი ხოლმე ნათქვამს, და ისინიც მიკარნახებდენ: ზოგი ამბობდა—ეს ბერიკაცი კუდიანი იქნებაო, ზოგი გაიძახოდა: ეს საჭირო არ არის, ის მხოლოდ ჯარისკაცი იქნებაო; არა, აჯობებს, რომ იმან გაქურდოს ისინიო; არა, ეს ხომ ან-

*) ქართულად იბეჭდება პირველად.

დაზას არ შეეხებიო და სხვა ასეთებს ამბობდენ ისინი.

ყველა მეტისმეტად იყო დაინტერესებული. თითქმის ყველა იღებდა მონაწილეობას თხზვაში; მაგრამ თავიდანვე განსაკუთრებით გამოირჩოდენ სიმოკა და ფედკა.

7 საათიდან 11 საათამდის ვმუშაობდით; ისინი არ გრძნობდენ არც შიმშილს, არც დაღლილობას და გამიწყრენ კიდეც, როდესაც შევწყვიტე წერა; თვითონ მიჰყვეს ხელი წერას, მაგრამ მალე მიანებეს თავი: არაფერი გამოვიდათ.

— დავბეჭდავთ?—იკითხა ფედკამ.

— დიახ!

— ასე უნდა დავბეჭდოთ: მაკაროვის, მოროზოვის და ტოლსტოის თხზულება.

**ლ. ტოლსტოი**

# რატომ ვხედავთ ბნელაში

— შედი ეზოდან ბნელ თავლაში—არაფერი არა ჩანს. მოიცადე ცოტა — და გაარჩევ ბოძებს, სახურავს. მიიხედ-მოიხედავ — ყველაფერს დაინახავ. რატომ ხდება ასე?

თვალში არის გუგა. თუ გუგაში კარგად ჩაიხედავ, ისე დაინახავ შიგ შენს თავს, როგორც პატარა სარკეში. გუგა მთლიანი კი არ არის — ეს არის პატარა რგოლი. რგოლში ცარიელი ადგილია, ცარიელი ადგილის უკან კი პატარა სარკეა. ეს რგოლი იკუმშება და ფართოვდება. როდესაც დიდი სინათლეა—მზისგან, ცეცხლისგან, ჩვენ კარგად ვხედავთ, ვავიწროებთ რგოლს და ამით ნაწილობრივ ვფარავთ სარკეს. მაგრამ როდესაც ცოტა სინათლეა, ჩვენ ვაფართოებთ რგოლს, რომ უფრო მეტი სინათლე მოხვდეს სარკეში. როდესაც მზიანი ადგილიდან შეხვალ ბნელში, რგოლი შეკუმშულია, და ჩვენ ვიწყებთ მის გაფართოებას, რაც უფრო გავაფართოებთ, მით უფრო კარგად დავინახავთ.

როდესაც სიბნელიდან სინათლეზე გამოვალთ, რატომ ვკრძნობთ თვალის ტკივილს?

იმიტომ, რომ სიბნელეში ჩვენ გავაფართოეთ თვალის რგოლი, უცბათ კი არ შეგვიძლია მისი შეკუმშვა. ვიდრე რგოლი შეიკუმშებოდეს, ჩვენ ვხუჭავთ თვალს, თორემ ძალიან ბევრი სინათლე ხვდება გაფართოებულ რგოლში, და ჩვენ გვტკივა თვალები.

**ლ. ტოლსტოი**

გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ და ჟურნალ „პიონერის“ მკითხველები.
(ტფ. მე-14 სრულ. საშ. სკოლის პიონერაქტივი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხილამურები.

ფოტ. ელ. ახვლედიანი.

რა სჯობია, ქალაქგარეთ გასული რომ მისრიალებ ფართო ნაბიჯებით და თხილამურები ახალმოსულ თოვლში შრიალით ხაზავენ ლარივით სწორ ორ კვალს!

ყინვით დაწმენდილი ჰაერი თითქოს უფრო გამჭვირვალეა.

ოდნავი შეძახილი, პატარა ხმაური ეფანივით წკრიალებს. ირგვლივ ნაზი სინათლეა და მიდიხარ და მიდიხარ...

წელამდის თოვლიც რომ იდოს, თუ თხილამურებით ხარ, არ შეგაწუხებს: სულ 10—15 სანტიმეტრით დაიწევ, მეტით არა, თანაც ნაკლები ენერგიის ხარჯვით მანძილს სწრაფად გაივლი, ორჯერ-სამჯერ უფრო ჩქარა, ვიდრე უთხილამუროდ. ამიტომ, ჩრდილოეთის მხარეს, სადაც დიდი თოვლი იცის (ფინეთში, ნორვეგიაში) ფოსტალიონები, მეტყველები და ხშირად დანარჩენი მოსახლეობაც ზამთრობით თხილამურებით დადიან.

საბჭოთა კავშირში დიდი ხანია გავრცელებულია მათი ხმარება, ხოლო საქართველოში სულ ორი-სამი წელია, რაც მასობრივ ეტანებიან მას. მართალია საქართველოს მთიან კუთხეებში მცხოვრებთ აქვთ თავისებური, ბრტყელი, მორგვალო თხილამურები, მაგრამ იმით მოძრაობა უფრო ძნელია, რადგან ფეხი კი არ მისრიალებს, მხოლოდ ტკეპნის თოვლს.

ჩვენი საყვარელი თხილამურები მოგრძო და ვიწროა. მას სასპორტო თხილამურები ჰქვია!

სუფთა ჰაერზე მოძრაობა, გარბენა, გადახტომა ხეიულს ამაგრებს, გამძლეობას აჩვევს. ამიტომ არის, რომ საბჭოთა კავშირის მეთხილამურეები ათასკილომეტრიანი მანძილის ორგანიზებულად გავლის შემდეგ, ყინვასა და ქარბუქში დღლის მიუხედავად, წონაში მატულობენ და თავს მშვენივრად გრძნობენ.

ტფილისის ახლომახლო სოფლების მცხოვრებნი კარგად იცნობენ ჩვენს თხილამურებს: გამოსასვლელ დღეებში იქ ხშირად ვწვეევართ; განსაკუთრებით ბავშვები არიან ჩვენი მეგობრები: ჯერ გათენებული არ არის ხოლმე, რომ გოგო-ბიჭები ბელურებივით ყივილ-ხივილით თავს დაგვტრიალებენ. ზოგჯერ კვირობენ, ზოგს დაურიდებლად იწუნებენ, მთელ კილომეტრებზე სირბილით მოგვდევენ, უხარიათ. მთ ამალაში ყოფნისას ვცდილობთ ლამაზად გავცურდეთ, ყოჩაღად, მაგრამ ხიფათი ხომ სწორედ მაშინ მოგვივა, როცა თავს ვიწონებთ, რომელიმე ჩვენგანს დაუსხლტება ფეხი და თოვლში მისი ფართხალი ბავშვების ყიეინასა და ხარხარს უფრო აქეზებს!

მეც ხშირად წამიყვია თოვლში ცხვირი; ერთხელ ვეშვებოდი გაქანებული. საღამოხანი იყო—კარგად მოყინა. ელვასავით მოვქროდი. არ ვიცი რა იყო მიზეზი, ალბათ ოდნავ გადავიხარე საითმე, — და უცებ თოვლში ისე ჩავიფალი, რომ ოთხმა კაცმა ძლივს ამომწია. არა-

ფეხზე დამაგრებული თხილამური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამთო თხილამურები თავისი ჯოხებით

ფერი მტკენია, თხილამურები კარგად მჭონდა დამაგრებული ფეხზე, ამიტომ მშვიდობიანად გადავრჩი. ვითომ არაფერია... წამოდგომისთანავე განვაგრძე გზა, თუმცა სახე მაგრად ამეწვა და მაყურებელთა ერიამულიც კარგახანს მომ.ეცვდა...

ბორჯომის ხეობაში არის მაღალი სააგარაკო ადგილი — ბაკურიანი. იქ მრავალმა ბავშვმა თავის ხელით გამოთალა პატარა თხილამურები და ძალიან კარგად შეისწავლეს თხილამურებით სიარული. ამის მიზეზი ის არის, რომ იქ ძალიან გახშირდა ზამთარში მეთხილამურეთა სტუმრობა.

ბაკურიანს, როგორც სამთო-სათხილამურო სადგურისათვის საუკეთესო ადგილს, საბჭოთა კავშირში ცალი არა აქვს: ზამთარში ბევრი მზიანი დღეა. მზე აცხუნებს და მაღალი თოვლი კი ხელუხლებლად დევს. ქარი არ იცის, რადგან ირგვლივ მთები არტყია. ლამაზი ფიქვნარი ბევრია. შვეიცარიაში არის განთქმული აგარაკი დავოსი, სადაც ძალიან რბილი ზამთარი იცის, — ბაკურიანი მას მოგვაგონებს.

ამიტომ მრავალი მეთხილამურე იყრის აქ თავს, რომელთა შორის ხშირად არიან საკავშირო ოსტატებიც და მათ სიარულს, სრიალს, მოტრიალებებს აკვირდებიან სკოლიდან დაბრუნებული ბავშვები, იმეორებენ და კარგად ითვისებენ.

გიხარია, როდესაც მათ გაბედულ მოძრაობას უყურებ, განსაკუთრებით ლამაზად ასრულებენ რთულ მოტრიალებებს (ე. ი. „ტელემარკებს"). კალიებივით ხტიან ცერისოდენა ბიქები და შემდეგ ისე ამაყად ჩაგვლიან, რომ გეჯერათ ოდესმე, ეს მოწადინებული მოზარდები პაწწა, წითელი ალმებით გამიჯნულ სტარტზე გამწკრივდებიან საბჭოთა კავშირის საუკეთესო მეთხილამურეებთან ერთად პირველობაში შესაჯიბრებლად!

**ე. მრევლიშვილი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხატვ. შ. ბერიტაშვილი



მოიტანა მამამ ავტო,
უბენზინო და უნავთო;
გრძელი არის, ჭრელი არის,
საგზაო და საალმართო.

უთხრა ოთარს: „ჩემო ოთარ!
აბა ახლა თუ ივარგე:
ეს მანქანა უნდა მორთო
და გაუშინდო როგორც სარკე“.

ოთარს ძლიერ უხარია,
გაიძახის: „ეს რა ვნახე!“
ზამთარში „რომ“ ბუხარია,
ისე ელავს მისი სახე.

სულ პატარა კარაგში
გააკეთა გარაჟი
და პატარა მანქანა
გარაჟში შეაქანა.
დაუშინდა პედლები,
აქეთ-იქით არხია,
გაუკეთა ის თვლები,
ფარებს რომ ეძახიან,
ჩამოჰკიდა წინ და უკან
მეთორმეტე ნომერი...
აბა, დედა, ჩქარა „ნუგა“,
დაიღალა მშრომელი!
გამოვიდა ქუჩაში, დააპირა პედალი
და გასრისა დედალი.
გამოვარდა მამალი,
ტირის:
ყვირის,
ყვირის,
ტირის
„სად ვიშოვო წამალი,
სად ვიშოვო იოდი,
სად ვიშოვო სახვევი?!
აქეთ რომ მოდიოდი,
იქით ვერ გადახვედი?“

# დაიცავით რაზმის დროშა

ეროვნული ბიბლიოთეკა



რაზმი შეიკრიბა დღესასწაულისათვის. რგოლები დაეწყვნენ, მაგრამ მედოლე ეძებს ჯოხებს. რგოლის ხელმძღვანელები დარბიან, დაეძებენ თავის ალმებს.

— დროშა ხომ არავის დაგინახავთ, დროშა? — მეათეჯერ კითხულობს ხელმძღვანელი.

ასე ხდება ხოლმე ისეთ რაზმში, სადაც დაუდევრად ეპყრობიან რაზმის დროშას, საყვირსა და დოლს, სადაც არ ესმით მათი ალმზრდელობითი მნიშვნელობა.

მერე და განა წითელი დროშით არ იწყება ყოველი დიდი მნიშვნელობის ფაქტი რაზმის ცხოვრებაში: ახალი წევრების მიღების დროს, საბანაკო შეკრებისა და დღესასწაულის დროს

დროშა, საყვირი და დოლი შეიძლება მიენდოს მხოლოდ საუკეთესო პიონერს!

რომ უფრო კარგად შევინახოთ რაზმის მოწყობილობა — დროშები, საყვირი და დოლი — ყოველმა რაზმმა უნდა მოაწყოს სპეციალური დგარი, ისეთი, როგორიც თანდართულ ფოტოსურათზეა ნაჩვენები. ამ დგარზე შეიძლება მჭიდროდ მოთავსდეს რაზმის დროშა, საყვირი, რგოლების ალმები, დოლი და დოლის ჯოხები.

ამ დგარის გაკეთება ძნელი არ არის, მისი დამზადება შეიძლება ყოველი სკოლის სახელოსნოში.

საჭიროა შემდეგი მასალა: ფიცრები და ფიცრის გადანაჭრები. (ნახაზი 1, 2 და 3).

ეს დგარი შედგება ოთხი ვერტიკალური ძელაკისაგან (A), რომლებიც შეერთებული არიან ორი ჰორიზონტალური სიბრტყით (a და в). თითოეული ძელაკი სიმაღლით მეტრს უდრის და მოყვანილობაც ერთნაირი აქვთ.

ქვედა სიბრტყეზე, რომელიც დგარის დასაყრდენს წარმოადგენს, ძელაკები დამაგრებულია კოტეგით.

დგარის დასაყრდენის — სიბრტყე в·ს — სიგანე 33 სანტიმეტრია, სიგრძე — 52 სანტიმეტრი, სისქე კი 3 სანტიმეტრი. ზევით ძელაკები უერთდებიან დგარის ზედა სიბრტყეს (б); სიგრძე სიბრტყე б-სი უდრის 54 სანტიმეტრს, სიგანე 33 სანტ. ხოლო სისქე 3 სანტიმეტრს. დგარის ზედა სიბრტყეს (б) უკეთდება ექვსი ნახვრეტი, აქედან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოცვივდენ ბავშვები,
ხმაურია ძლიერი,
აღარ არის საშველი,
მოდის მილიციელი...

მამალს მოსდის ღვარ-ღვარად
ცრემლი შეუშრობელი...
აბა ოქმი, ოქმი ჩქარა!
რომელია შოფერი?
შეადგინეს დიდი ოქმი,
ჩაერიენენ ყველანი...
ოქმს დასჭირდა ერთი დოქი
იისფერი მელანი.
მერე ქათამს უქაქანეს,
ეძახოდენ „აქში, აქში“,
დედალი კი გააქანეს
ჩვენი უბნის აფთიაქში.
დედლისათვის თურმე ფეხი
მოეტეხა ბოროტ პედლს;
მოიტანეს წმინდა ხერხი
და მოხერხეს ფეხი დედალს.



ასე მოხდა... ამის გარდა
ასეც მოხდა მკათათვეში:
სასამართლო გაიმართა
კოქლი დედლის საქათმეში,
გაიმართა ლაპარაკი,
ლაპარაკი ლაპარაკზე,
მოითხოეს აგარაკი:
„გაიგზავნოს აგარაკზე“.
დაადგინეს: „რადგან, რაკი
უვიცობა აღიარა,
დედლისათვის აგარაკი
აირჩიოს—სხვა კი არა,—
ან კოჯორი, ან კიკეთი,
დაუშვადოს სუფთა ხრეში,
აურიოს ქერში ფეტვი
და აკამოს სამჯერ დღეში“.

მიჰყავს ოთარს, აღარ იცდის,
დედალი და მისი ბუდე...
მე კი ოთარს შეცთომისთვის
ერთი კვირით გავებუტე.

**კაოლო იაშვილი**




ერთი ნახვრეტის დიამეტრი ოთხ სანტიმეტრს უდრის, დანარჩენი ხუთი ნახვრეტის დიამეტრები კი ორ-ორ სანტიმეტრს. ამ ნახვრეტებში ჩაიდგმება რაზმის დროშისა და რგოლების ალმების ტარები. დროშისა და ალმების ტარის ბოლო ჩაიდგმება სპეციალურ ბუდეში. ეს ბუდეები ამოიხვრეტება ფიცარზე, რომლის სიგრძე 33 სანტიმეტრი იქნება, სიგრძე 52 სანტიმეტრი და სისქე კი ხუთი სანტიმეტრი. ეს ფიცარი დაეფარება დგარის დასაყრდენს — ქვედა სიბრტყეს.

დროშისა და ალმებისათვის გაკეთებული ნახვრეტების გარდა ზედა სიბრტყეში (ნახ. 2) დოლისათვის ამოიჭრება ადგილი, რომლის სიგანე იქნება 19 სანტიმეტრი, ხოლო სიგრძე 33 სანტიმეტრი.

დოლი, დროშა და ალმები უკვე მოთავსებულია. ახლა საჭიროა გამოინახოს ადგილი საყვირისა და დოლის ჯოხებისათვის.

საყვირისათვის კეთდება პატარა ფარი ფანერისაგან. ფარი სიმაღლით 25 სანტიმეტრია, სიგრძით კი 38 სანტიმეტრი. დოლის ჯოხები უნდა მოთავსდეს სქელი ქსოვილის ჩალითაში, რომელიც დაიკიდება დგარის მარჯვენა მხარეს.

ამგვარად შეიძლება მოვთავსოთ რაზმის ყველა მოწყობილობა პატარა, ლამაზ, ადვილად გასაკეთებელ დგარზე, რის შემდეგ უკვე ალარ მოგიხდებათ კარადაში ძებნა დოლის ჯოხებისა და კარადის უკან კი რგოლების ალმებისა.

ეს დგარი თავისი მოწყობილობით უკეთესი იქნება დავდგათ პიონერთა ოთახის რაზმის კუთხის ცენტრში.

გადმოკ. რუსულიდან **შ. ა. ხ-ს** მიერ

# გამოცანები

არ მოელი, ისე ატეხს
ზარის რეკას, ხმაურს:
„ძინ — ძინ... გზა, გზა! მეჩქარება!“
შექმნის აურზაურს.
ისე სწრაფად ჩაგიქროლებს,
თვალს თუ მოჰკრავ მარტო:
წითელი და უცნაური
მიქრის გრძელი ავტო.

**ელ. ა.**

—

ბატების გუნდი მოფრინავდა. ერთი წინ იყო, ორი უკან; ერთი უკან იყო, ორი — წინ; ერთი შუაში იყო, ორი — წინ და უკან; სამი ერთ მწკრივად იყო.

სულ რამდენი ბატი ყოფილა?

—

ერთ გამოცანას გეტყვი,
ახლნა გიგიჭრდება:
აბა რაა ისეთი,
რაც ყველაფერს სჭირდება?

ერთხელ კომკავშირელმა სოსომ პიონერებს უთხრა:

— აი ახლა მე გიამბობთ ერთ ნამდვილ ამბავს, რომელიც სულ ამ ერთი თვის წინათ მოხდა...

და სოსომ დაიწყო:

— სტეფანე სხდომიდან გვიან დაბრუნდა, ივახშმა და დაწვა. ცოტა ხნის შემდეგ ის გემრიელად ხვრინავდა. მან საშინელი სიზმარი ნახა: გაისმა კარის ჭრიალი და ოთახში ფეხაკრეფით შემოვიდა საშინელი გამომეტყველების კაცი. ქუდი თვალებზე ჰქონდა ჩამოფხატული, ხელში ბებუთი ეჭირა. მოიპარება, მოიპარება და თავზე დაადგა სტეფანეს... იელვა ბებუთმა... შიგ გულში უსწორა.

სტეფანეს გული გაუსკდა და მოკვდა, — დაასრულა სოსომ, მაგრამ ვასიკომ დაიყვირა:

— ნამდვილი კი არა, სულ მოგონილია ეგ ამბავი! ვასიკოს სხვებიც შიემხრნენ. თქვენ რა აზრისა ხართ?

**ნ. ქოჩიაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲤᲠᲘᲜᲕᲔᲚᲘ ᲐᲒᲘᲢᲔᲑᲡ ᲩᲮᲣᲒᲡ, ᲗᲣ ᲗᲐᲕᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲙᲐᲠᲘ?

პოლარულ ქვეყნებში ცხოვრობს ფრინველი, რომელსაც პინგვინი ეწოდება. პინგვინს პატარა ფრთები აქვს და ფრენა არ შეუძლია, მაგრამ მათ ძალიან უყვართ სეირნობა. დაიყრის თავს რამდენიმე პინგვინი და წაბრძანდებიან სასეირნოდ. როდესაც შეხვდებიან მოსეირნე პინგვინების მეორე ჯგუფს, პირველი ჯგუფის მეთაური მიესალმება მათ, დაბლა დაუკრავს თავს. მეორე ჯგუფის მეთაურიც თავის დაკვრით უპასუხებს, და ასე გაშორდებიან ერთმანეთს მოსეირნენი. თუ მეორე ჯგუფის მეთაურმა თავი არ დაუკრა, პირველი ჯგუფის მეთაური მეორედ დაუკრავს თავს, მესამედაც, მაგრამ თუ მაშინაც არ მიესალმნენ,— გაბრაზდება და შეუტევს უზრდელს. ატყდება ერთი ალიაქოთი, ყველანი მიესევიან ერთმანეთს და ფრთებით ჩხუბობენ.

პინგვინი მშვიდი, უწყინარი ფრინველია, ოღონდ „უზრდელობას კი ვერ“ იტანს: დგიკრავს თავს და შენც უნდა მიესალმო.

პინგვინს არ ეშინია ადამიანის და სრულიად დამშვიდებულია, როდესაც მას უახლოვდებიან. პოლარული მკვლევარების აზრით, პინგვინს „დამიანიც ფრინველი ჰქონია, ვინაიდან ადამიანიც ისე დადის და ტანს ისე ამოძრავებს, როგორც პინგვინი.

ერთხელ პინგვინებმა კარგა დაბეგვეს მკვლევარ შეკლტონის ერთერთი მეზღვაური, რომელმაც პინგვინების მეთაურს თავი არ დაუკრა.

რაკი გაიგეს პინგვინების ეს ჩვეულება, მას შემდეგ „პოლარული ექსპედიციის წევრები „ზრდილობიანად“ იქცევიან: როდესაც შეხვდებიან პინგვინებს, ერთი რომელიმე წინ დადგება და თავს დაუკრავს პინგვინების მეთაურს, რომელიც თავის დაკვრითვე უპასუხებს, და ფრინველები დინჯად განაგრძობენ გზას.

Შ. Თ.-ᲚᲘ

# ᲠᲔᲑᲣᲡᲘ



ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ. ᲛᲔᲛᲔᲥᲕᲗᲔ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲛᲝᲬᲐᲤᲔᲡ ᲒᲣᲚᲘᲙᲝ. ᲚᲝᲚᲝᲒᲔᲠᲘᲫᲘᲡ ᲛᲘᲠ (ᲢᲤ. ᲛᲔ-8 ᲡᲙᲝᲚᲐ.)

პროლეტარებნო ყველა ქვეყნისა, შეერთდეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „პიონერი“

№ 1
იანვარი — 1936
ფასი 10 კაპ.

საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკასა და საქ. განსახკომის ერთთვიური ჟურნალი

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობა „კომუნისტი“

რედაქტორ. მისამართი: გრიბოედოვის ქ. № 34
ტელ. № 3-02-61

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

1 საჩუქრები ყრილობას, — ელ. აგლაძე . . . . . გარეკანის 2 გვ.
2. ენძელას ფიქრები, — ენძელა . . . . . 1
3. ცხრა იანვრის დილა, — ა. ალექსიძე . . . . . 4
4. ამისინია — შ. ღოღობერიძე . . . . . 5
5. პიონერის სიმღერა ძია სტალინოვზე (ლექსი) — ნ. ფხაკაძე . . . . . 7
6. როგორ იწრთობოდა ფოლადი, — ნ. ოსტროვსკი; თარგმანი რ. ქორქიასი 8
7. დინიტრი ფურმანოვი, — შ. გვინჩიძე . . . . . 13
8. გრეიფრუტი (ლექსი), — გიორგი კაპანიძე . . . . . 14
9. დიდი მწერალი, — შ. თაბუკაშვილი . . . . . 15
10. სიმაკას, ფედკას და ტოლსტოის თხზულება, — ლ. ტოლსტოი . . . . 16
11. რატომ ვხედავთ ბნელაში — ლ. ტოლსტოი . . . . . 17
12. თხილამურები, — მ. მრევლიშვილი . . . . . 18
13. ოთარ შოფერი (ლექსი) — პაოლო იაშვილი . . . . . 20
14. დაიცავით რაზმის დროშა, — გადმოკითხული რუსულიდან, ე.. ა-ს მიერ 22
15. გამოცანები, — შედგენილი ელ. მ-ს და ნ. ქოჩიაშვილის მიერ . . . . 23
16. რომელი ფრინველი აგიტეხს ჩხუბს თუ თავი არ დაუკარი, — შ. თ. . . 24

ჟურნალი გაფორმებულია მხატვ. ელ. ახვლედიანის, ს. ქოჩიაშვილის და ბერიტაშვილის მიერ. გარეკანი მხატვ. ქოქიაშვილის.

პ/მგ. რედაქტორი: მ. თოდაძე  პ/მგ. მდივანი: ელ. აგლაძე

ფასი № 10515 შეკვ. № 1131 ტ. 23800  სახელგამის III-3 სტამბა წერეთლის ქ. № 3/5.

მუს. თ. შავერზაშვილისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# მარში

ერთი ბავშვი ლოტბარობს. ოთხი მეოთხედის დათვლით თითოეულ ტაქტში.